საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

30/10/2026

MES 5 26 0001567094

გადაწყვეტილება

„„შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "ფსიქოლოგიის" 3 წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის №603563 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 09 ოქტომბრის №1428599 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 16 ოქტომბრის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „შპს კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (NJCU, აშშ) "ფსიქოლოგიის" 3 წლიანი ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 21 მაისის №603563 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 09 ოქტომბრის №1428599 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:
1.1. გადაწყვეტილების დანართის მე-14 ნაწილში განხორციელების ადგილი შპს კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად მიეთითოს - ქეინის უნივერსიტეტი (Kean University, აშშ):

- კავკასიის უნივერსიტეტი - პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო;
- ქეინის უნივერსიტეტი (Kean University, აშშ) - 1000 Morris Ave, Union, NJ 07083, United States

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 30 ოქტომბრის №1567170 ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 30 ოქტომბერს.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე